ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-3
2023 წლის 2 მაისი
ქ. თბილისი

პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების წესის, მათი სტრუქტურისა და ფორმის, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხის და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 13^1 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-9 პუნქტის $ბ^1$ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს ,,პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მათი სტრუქტურისა და ფორმის, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხის და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 13 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი — დავით მჭედლიძე

პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მათი სტრუქტურისა და ფორმის, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხის და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების წესს, მათ სტრუქტურასა და ფორმას, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხას, მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესს, წარმოებაში მონაწილე მხარეებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ანგარიშვალდებული პირი – „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საბუღალტრო ფირმა, ან/და პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს პროფესიულ მომსახურებას;

ბ) არარეზიდენტი პირი – პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი;

გ) განგრძობითი განათლება – ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის საკითხებში გაცნობიერების პროცესი, კანონმდებლობასთან შესაბამისი მომსახურების გაწევის მიზნით;

დ) ზოგადი ინფორმაცია – ანგარიშვალდებული პირის, ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები;

ე) კანონი – ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
ვ) პროფესიული საქმიანობა – ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურება;
ზ) პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი – ბუღალტერი, რომელიც რეგისტრირებულია ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრში და მომსახურების დამკვეთისთვის ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას;
თ) პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრი – ელექტრონული რეესტრი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების შესახებ;
ი) რეესტრი – პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების ან/და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრი;
კ) საბუღალტრო ფირმა – საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, რომელიც რეგისტრირებულია საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში და მომსახურების დამკვეთისთვის ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას;
ლ) საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრი – ელექტრონული რეესტრი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია საბუღალტრო ფირმების შესახებ;
მ) სამსახური – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.
2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებული ტერმინები განიმარტება კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. რეესტრების წარმოება
1. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრის შესახებ ინფორმაცია აისახება პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრში, ხოლო საბუღალტრო ფირმის შესახებ ინფორმაცია აისახება საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში.
2. ბუღალტერი, რომელიც მომსახურების დამკვეთისთვის ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას, ან/და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, რომელიც მომსახურების დამკვეთისთვის ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ან/და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომსახურებას ვალდებულია შესაბამის რეესტრში დარეგისტრირდეს პროფესიული საქმიანობის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
3. რეესტრებში ანგარიშვალდებული პირის იდენტიფიკაცია უზრუნველყოფილია ანგარიშვალდებული პირის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომრით.
4. ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს ამ წესის მე-3 და მე-4 თავებით განსაზღვრული მონაცემების რეესტრში ასახვა და მისი მუდმივი განახლება.
5. რეესტრში წარდგენილი ის ინფორმაცია (მათ შორის, განახლებადი), რომელიც არ ექვემდებარება რეესტრში გასაჯაროებას, სამსახურის მიერ გამოიყენება საზედამხედველო სფეროების საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლის, სტატისტიკური ანალიზის მიზნით.
6. რეესტრები განთავსდება სამსახურის ვებგვერდზე, სამსახურის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფისა და მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით. რეესტრები საჯაროა.

მუხლი 4. სამსახურის უფლებამოსილებები
1. სამსახური ახორციელებს რეესტრში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმებას რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე.
2. სამსახური უფლებამოსილია რეესტრში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმების მიზნით ანგარიშვალდებული პირისაგან ან/და სხვა უწყებებიდან/წყაროებიდან მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს სამსახურს მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
3. ანგარიშვალდებული პირების მონაცემების რეესტრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესწავლის დროს, სამსახურის მიერ შესაძლებელია რეესტრში გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა.

თავი II
რეესტრები

მუხლი 5. რეესტრების მართვა
1. ანგარიშვალდებული პირი რეესტრის საკუთარი გვერდის ადმინისტრირებას ახდენს ელექტრონული

ფორმით.
2. რეესტრებს მართავს სამსახური.

მუხლი 6. რეესტრის ანგარიშვალდებული პირის გვერდი
1. რეესტრის პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრის გვერდი მოიცავს შემდეგ ჩანართებს:
ა) ზოგადი ინფორმაცია;
ბ) განგრძობითი განათლება;
გ) მეწარმეობა.
2. რეესტრის საბუღალტრო ფირმის გვერდი მოიცავს შემდეგ ჩანართებს:
ა) ზოგადი ინფორმაცია;
ბ) განგრძობითი განათლება.

თავი III
რეესტრში რეგისტრაცია და ზოგადი ინფორმაცია

მუხლი 7. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია და ზოგადი ინფორმაცია
1. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისთვის ფიზიკურმა პირმა უნდა შეავსოს შემდეგი მონაცემები:
ა) პირადი ნომერი;
ბ) სახელი;
გ) გვარი;
დ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
ე) მობილური ტელეფონის ნომერი;
ვ) პაროლი;
ზ) დაბადების თარიღი;
თ) მოქალაქეობა;
ი) პირადობის ან/და პასპორტის ნომერი;
კ) პირადობის ან/და პასპორტის გაცემის თარიღი;
ლ) პირადობის ან/და პასპორტის გამცემი ქვეყანა;
მ) პირადობის ან/და პასპორტის გამცემი ორგანო;
ნ) სქესი;
ო) დაბადების ადგილი – ქვეყანა;
პ) რეგისტრაციის მისამართი;
ჟ) ფაქტობრივი მისამართი.
2. ფიზიკური პირის მიერ შევსებული ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „ზ“-„პ“ ქვეპუნქტების შესაბამისი ინფორმაციის ვერიფიკაციისთვის ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზის გამოყენება.
3. არარეზიდენტი არამეწარმე ფიზიკური პირის მიერ რეესტრში რეგისტრაციისას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსების გარდა უნდა მოხდეს მოქალაქის პასპორტის ასლის ატვირთვა.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულმა არარეზიდენტმა არამეწარმე ფიზიკურმა პირმა უნდა ატვირთოს პასპორტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
5. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრში პირის რეგისტრაციის თაობაზე სამსახური გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
6. სამსახური უფლებამოსილია საჯარო არ გახადოს რეესტრში ანგარიშვალდებული პირების შესახებ ასახული ინფორმაცია, თუ ინფორმაციის გასაჯაროება საფრთხეს უქმნის ქვეყნის ან/და მესამე პირის ინტერესებს. ინფორმაციის შეფასების, ანალიზის და მისი გამოქვეყნების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახური.
7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები საჯაროა.
8. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები შესაძლოა გასაჯაროვდეს ანგარიშვალდებული პირის დასტურით ღილაკის – „გასაჯაროება“ – მონიშვნის შემთხვევაში.
9. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი რეესტრში ავტორიზაციას ახდენს პირადი ნომრისა და პაროლის მეშვეობით.

მუხლი 8. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრის მეწარმეობა

1. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი, ჩანართში „მეწარმეობა“, საქმიანობის დაწყებისა და დასრულების თარიღების მითითებით ნიშნავს სტატუსებიდან ერთ-ერთს:
ა) არამეწარმე ფიზიკური პირი (რეზიდენტი);
ბ) არამეწარმე ფიზიკური პირი (არარეზიდენტი);
გ) ინდივიდუალური მეწარმე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა პირმა ავტორიზაცია უნდა გაიაროს სსიპ – შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ვებგვერდის (eservices.rs.ge) მომხმარებლისა და პაროლის საშუალებით.

მუხლი 9. საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია და ზოგადი ინფორმაცია
1. საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისთვის საბუღალტრო ფირმამ პირველადი ავტორიზაცია უნდა გაიაროს სსიპ – შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ვებგვერდის (eservices.rs.ge) მომხმარებლისა და პაროლის საშუალებით.
2. საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციას ახორციელებს შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
3. საბუღალტრო ფირმების რეესტრში რეგისტრაციისას ივსება შემდეგი მონაცემები:
ა) შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პირადი მონაცემები:
ა.ა) სახელი;
ა.ბ) გვარი;
ა.გ) მობილური ტელეფონის ნომერი;
ა.დ) ელ. ფოსტა;
ა.ე) პირადი ნომერი;
ბ) პაროლი;
გ) შესაბამისობის კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები (ივსება თუკი აღნიშნული პირი აგრეთვე არ წარმოადგენს ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს):
გ.ა) სახელი;
გ.ბ) გვარი;
გ.გ) პირადი ნომერი;
დ) ფირმის საკონტაქტო ინფორმაცია:
დ.ა) ფირმის ფაქტობრივი მისამართი;
დ.ბ) ფირმის ტელეფონის ნომერი;
დ.გ) ფირმის ელექტრონული ფოსტის მისამართი;
დ.დ) ფირმის ვებგვერდის მისამართი (არსებობის შემთხვევაში);
ე) ფირმის მონაცემები:
ე.ა) საიდენტიფიკაციო ნომერი;
ე.ბ) სამართლებრივი ფორმა;
ე.გ) სახელწოდება;
ე.დ) იურიდიული მისამართი;
ვ) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირების შესახებ ინფორმაცია;
ვ.ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში:
ვ.ა.ა) სახელი;
ვ.ა.ბ) გვარი;
ვ.ა.გ) პირადი ნომერი;
ვ.ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში:
ვ.ბ.ა) სახელწოდება;
ვ.ბ.ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი;
ზ) პარტნიორების შესახებ ინფორმაცია:
ზ.ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში:
ზ.ა.ა) სახელი;
ზ.ა.ბ) გვარი;
ზ.ა.გ) პირადი ნომერი;
ზ.ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში:
ზ.ბ.ა) სახელწოდება;
ზ.ბ.ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი.
4. ამ მუხლის „ა.ა“, „ა.ბ“, „ა.ე“ და „გ“ ქვეპუნქტების ვერიფიკაციისთვის ხდება საჯარო სამართლის

იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზის გამოყენება.
5. საბუღალტრო ფირმის, ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“-„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები ივსება ავტომატურად. აღნიშნული მონაცემების ასახვა ხდება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზიდან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრებში დაცული მონაცემების საფუძველზე, სამსახურსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად.
6. საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრში პირის რეგისტრაციის თაობაზე სამსახური გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
7. სამსახური უფლებამოსილია საჯარო არ გახადოს რეესტრში ანგარიშვალდებული პირების შესახებ ასახული ინფორმაცია, თუ ინფორმაციის გასაჯაროება საფრთხეს უქმნის ქვეყნის ან/და მესამე პირის ინტერესებს. ინფორმაციის შეფასების, ანალიზის და მისი გამოქვეყნების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახური.
8. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“-„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები საჯაროა.
9. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები შესაძლოა გასაჯაროვდეს ანგარიშვალდებული პირის დასტურით ღილაკის – „გასაჯაროება“ – მონიშვნის შემთხვევაში.
10. საბუღალტრო ფირმა რეესტრში ავტორიზაციას ახდენს მომხმარებლის პირადი ნომრისა და პაროლის მეშვეობით.

მუხლი 10. საბუღალტრო ფირმის მომხმარებლის შეცვლა
1. მომხმარებელი უფლებამოსილია გააუქმოს თავისი კავშირი საბუღალტრო ფირმასთან, ამ შემთხვევაში ახალი მომხმარებლის რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესის მე-9 მუხლის შესაბამისად.
2. თუ მომხმარებლის შეცვლა ვერ ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მომხმარებლის საბუღალტრო ფირმასთან კავშირის გაუქმება შესაძლებელია რეესტრის ადმინისტრირების პანელიდან, სამსახურის თანამშრომლის მიერ, ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ სამსახურისთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. მომხმარებლის ანგარიშვალდებულ პირთან კავშირის გაუქმების შემდეგ პირი დარეგისტრირდება მომხმარებლად ამ ბრძანების მე-9 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. ზოგადი ინფორმაციის ჩანართში ცვლილების შეტანა
1. ზოგადი ინფორმაციის ჩანართში ცვლილების განსახორციელებლად ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მიმართოს სამსახურს ცვლილების დასაბუთებული მოთხოვნით „ზოგადი ინფორმაციის“ ჩანართში ღილაკის – „ცვლილების მოთხოვნა“ – მეშვეობით.
2. ამ ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია შესაძლებელია შეიცვალოს ანგარიშვალდებული პირის მიერ სამსახურისთვის ცვლილების თაობაზე მიმართვის გარეშე.
3. ამ ბრძანების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ და „ა.დ“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ექვემდებარება ცვლილებას სამსახურისთვის ცვლილების თაობაზე მიმართვის გარეშე.
4. სამსახური სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ადასტურებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რის შემდეგაც ანგარიშვალდებულ პირს ეძლევა ზოგად ინფორმაციაში ცვლილების შეტანის საშუალება.
5. ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია რეესტრში არსებული ინფორმაცია (მათ შორის, არასაჯარო ინფორმაცია) განაახლოს შესაბამისი ცვლილების ფაქტის დადგომიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 12. პირის რეესტრიდან ამოღება
1. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრის რეესტრიდან ამოღების საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება, თუ ანგარიშვალდებული პირი აღარ ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას;
ბ) სერტიფიცირებული ბუღალტერების ერთიან რეესტრში რეგისტრაცია;
გ) გარდაცვალება.
2. საბუღალტრო ფირმის რეესტრიდან ამოღების საფუძვლებია:
ა) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის განცხადება, თუ ანგარიშვალდებული პირი აღარ ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას;
ბ) აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია;
გ) იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმება.
3. რეესტრიდან პირის ამოღების თაობაზე სამსახური გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივ აქტს.

თავი IV
განგრძობითი განათლება

მუხლი 13. განგრძობითი განათლების ჩანართში ინფორმაციის შევსება

1. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი, განგრძობით განათლების ჩანართში ტვირთავს თავის განგრძობითი განათლების დამადასტურებელ ცნობას/სერტიფიკატს.
2. საბუღალტრო ფირმა, განგრძობით განათლების ჩანართში ტვირთავს ფირმაში შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელი პირის ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ განგრძობითი განათლების მიღებულ დამადასტურებელ ცნობას/სერტიფიკატს.
3. ანგარიშვალდებული პირი განგრძობითი განათლების ჩანართში, ცნობის/სერტიფიკატის ატვირთვისას ავსებს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ცნობის/ სერტიფიკატის გაცემის თარიღი;
ბ) განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლის სახელწოდება;
გ) ცნობის/სერტიფიკატის ნომერი;
4. ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია აკმაყოფილებდეს განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებს და ყოველწლიურად ადასტურებდეს ამ მიმართულებით თავის კომპეტენციას.
5. ანგარიშვალდებული პირის/შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ავადმყოფობის ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოების გამო განგრძობითი განათლების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე ღილაკის „საპატიოდ ცნობა“ მეშვეობით მიმართოს სამსახურს და მოითხოვოს განგრძობითი განათლების მოთხოვნების შეუსრულებლობის საპატიოდ ცნობა.

მუხლი 14. განგრძობითი განათლების დადასტურებასთან დაკავშირებული პროცედურები

1. განგრძობითი განათლების დამადასტურებელი ცნობის/სერტიფიკატის ატვირთვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში სამსახური ადასტურებს განგრძობითი განათლების მიღების ფაქტს და შესაბამისად ასახავს რეესტრში.
2. თუ ანგარიშვალდებული პირის მიერ რეესტრში ატვირთული განგრძობითი განათლების მიღების დამადასტურებელი ცნობა/სერტიფიკატი არ შეესაბამება სამსახურის მიერ დადგენილ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მიღების მოთხოვნებს, სამსახური იღებს გადაწვეტილებას ცნობის/სერტიფიკატის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე, დოკუმენტაციის ატვირთვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
3. სამსახური ანგარიშვალდებული პირის მიერ განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის რეესტრში გასაჯაროების თაობაზე.
4. სამსახური ანგარიშვალდებული პირის//შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ავადმყოფობის ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოების გამო განგრძობითი განათლების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საპატიოდ ცნობის მოთხოვნას განიხილავს შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
5. თუ ანგარიშვალდებული პირის მიერ განგრძობითი განათლების ჩანართში ინფორმაცია შეცდომითაა შევსებული, ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია სამსახურს გაუგზავნოს დასაბუთებული მოთხოვნა განგრძობითი განათლების ჩანართში ცვლილების თაობაზე „ცვლილების მოთხოვნა“ ღილაკის მეშვეობით.

მუხლი 15. პასუხისმგებლობა

ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა ანგარიშვალდებული პირისთვის გამოიწვევს „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, 24-ე მუხლისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

თავი V
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 16. გარდამავალი დებულებები

პირი, რომელიც ამ წესის ამოქმედების დროისთვის ეწევა პროფესიულ საქმიანობას, ვალდებულია

არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივლისისა დარეგისტრირდეს შესაბამის რეესტრში.